ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 252 (19693) კვირა, 2 ნოემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმი. პლენუმზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, პარტიის რაიკომის უფლების მქონე პარტიული კომიტეტების მდივნები, მინისტრები და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტების, რაიონული და საქალაქო აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარენი, აგრარული მეცნიერებისა და წარმოების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

პლენუმმა განიხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები საკვებწარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის საქმეში.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარე ბ. დ. მგელაძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ჰ. ემირიძე, ლენტეხის რაიონის ჩიხარეშის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მფლელავი ნ. ს. ჯანხოთელი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. მ. მოსკალენკო, საქართველოს საეტერინარო-ზოოტექნიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი ბ. დ. აბლაძე, საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრი ლ. ლ. ზაქარიძე, საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი თ. ვ. ჯუნჯულია, საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი პ. ს. მამედოვი, გარდაბნის რაიონის ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსის დირექტორი ვ. ვ. ბებიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ა. ძოწოიანი, წალკის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე შ. ბ. ზოსიმოვი, კასპის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ნ. ნ. გოდერძიშვილი, საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ი. ბუნავა, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის კოლმეურნეობის მექანიზატორი მ. ბ. ბიკაშვილი, რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის" გენერალური დირექტორი მ. ბ. ღვინჯილია.

პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ა. ონისოვეცი.

განხილული საკითხის გამო პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. ტ. ვ. როსტიაშვილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან საქართველოს პროფსაბჭოს მდივნად არჩევასთან დაკავშირებით, მადლობა გადაუხადა მას აქტიური საქმიანობისათვის. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაში და დიდი წარმატებანი უსურვა ახალ პასუხსაგებ მუშაობაში.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩია ამხ. გ. ა. მეტონიძე — თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის საამწყობო საამქროს მესქემე ელექტრომემონტაჟეთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. ვ. რ. პაპუნიძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობაში შეიყვანა და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად აირჩია ამხ. ბ. ჰ. ემირიძე — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად აირჩია ამხ. ჯ. ვ. მარგველიძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებად: ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებისა — ამხ. ე. ე. კაპბა; მეცნიერებისა და სასწავლებელთა — ამხ. გ. გ. ჩოგოვაძე; მრეწველობისა — ამხ. კ. ვ. კაპანაძე; ადმინისტრაციული ორგანოებისა — ამხ. ვ. გ. ბაკრაძე.

ამით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა. (საქინფორმი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 30 ოქტომბერს საქართველო სხდომაზე განიხილა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, ამ დოკუმენტებში მთავარი ყურადღება ეთმობა მიმდინარე წლის ეკონომიკაში მიღწეული პოზიტიური ძვრების დამკვიდრებასა და განვითარებას, საზოგადოებრივი წარმოების ზრდის გრძელვადიანი ტემპების სრულ ამოქმედებას. 1987 წლის გეგმის პროექტი შეესაბამება სკკპ XXVII ყრილობის კურსს, რომლის მიზანია ქვეყნის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარება, შეესაბამება მეთორმეტე ხუთწლიანის დავალებებს. იგი ძირითადად უზრუნველყოფს ეკონომიკისათვის ხუთწლიანი გეგმის საშუალო წლიურ ტემპს. წარმოებისა და მისი ეფექტიანობის ზრდის დავალებებს საფუძვლად დაედვა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ფართო გამოყენება, საინვესტიციო და სტრუქტურული პოლიტიკის აქტიური რეალიზაცია, სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის, გაერთიანებებისა და საწარმოების დამოუკიდებლობის გაფართოების, „ელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდების გაძლიერების დიდ ღონისძიებათა განხორციელება. ძლიერდება წარმოების ინტენსიფიკაციის პროცესი, რაც საშუალებას მოგვცემს დავაჩქაროთ შრომის ნაყოფიერების ზრდა, უზრუნველვყოთ პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირება და ამავე დროს პროდუქციისა და სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესება, მოგების ზრდა.

გეგმის პროექტის მნიშვნელოვანი ღირსება, როგორც პოლიტბიუროს აღნიშნა, ის არის, რომ მასში გათვალისწინებულია სოციალურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება, რომლებიც მოიცავენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყველა მხარეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მოსახლეობის მომსახურების განვითარებას, მთელი სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. გეგმით დასახულია, რომ ყოველმა მოკავშირე რესპუბლიკამ გაზარდოს წელილი ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში, დაჩქარდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც შედგენილია ამ წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის შესაბამისად, ითვალისწინებს მეურნეობრიობის ეფექტიანობის გადიდების, ქვეყნის განვითარების ძირითადი მამართულებებით ფინანსური რესურსების კონცენტრაციის, ეკონომიის რეჟიმის განმტკიცების მოთხოვნებს.

„ძირითადად მოიწონა რა 1987 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები, პოლიტბიურომ მიზანშეწონილად მიიჩნია ეს დოკუმენტები განსახილველად წარუდგინოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ სესიას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ყველგან გავზალთო პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობა საგეგმო დავალებების, აგრეთვე შრომითი კოლექტივების შემხვედრი გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებული შესრულებისათვის. ამ მიზნით მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, დაინტენსიფიცირებულ სამეურნეო ანგარიშით და თვითდაფინანსების პრინციპები, უზრუნველვყოთ წლის განმავლობაში რიტმული მუშაობა, წარმოებაში მოვაქციოთ არსებული რეზერვები, გავზარდოთ ორგანიზებულობა და დისციპლინა მეურნეობრიობის ყველა დონეზე.

პოლიტბიუროს მოისმინა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის ანგარიში იმის შესახებ, რომ დამთავრდა პარტიის XXVII ყრილობის მისამართით შემოსული 13,5 ათასი აპელაციის განხილვა, აღინიშნა, რომ ამ აპელაციების განხილვამ გამოაკლინა მთელი რიგი ნაკლოვანებანი კომუნისტთა აღზრდისათვის, პარტიული დისციპლინის განმტკიცებისათვის პირველადი პარტორგანიზაციებისა და პარტიული კომიტეტების საქმიანობაში. ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ლიბერალიზმსა და უპრინციპობას იჩენს, განსაკუთრებით ისეთი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორიც არის უწყებრიობა, კუთხურობა, უყაირათობა, თვალის ახვევა და წამებები, კრიტიკის ჩახშობა. ზოგან ურიგდებიან კამპანიურობას ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბოლომდე არ არის დაძლეული პირველადი პარტიული ორგანიზაციების გვერდის ავლით კომუნისტი ხელმძღვანელების გადაცდომის განხილვის პრაქტიკა. ჯეროვანი საჯაროობა ვერ დამკვიდრდა პერსონალური საქმეების განხილვისა და მათ გამო მიღებული გადაწყვეტილებების დროს.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს წინადადება მიეცათ სკკპ XXVII ყრილობის სახელზე მოსული აპელაციების განხილვისათვის გაწეული მუშაობის შედეგების გათვალისწინებით აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებანი, გააქტიურონ ბრძოლა პარტიელის სპეკაკი და პატიოსანი სახისათვის, დიდი მომთხოვნელობისა და ყოველგვარი ნეგატიური მოვლენისადმი შეუურიგებლობის სულისკვეთებით კომუნისტთა აღზრდისათვის.

პოლიტბიურომ განიხილა მთავრობის კომისიის ცნობა ნოეოროსიისკის ახლოს 1986 წლის 4 აგვისტოში გემ „ადმირალ ნახიმოვის" ავარიის მიზეზთა გამოძიების შესახებ. როგორც გამოძიებამ ცხადყო, ეს ავარია ზომალდების კაპიტნების დანაშაულებრივი დაუდეგრობის, ნაოსნობის უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევის შედეგია. კატასტროფამ დიდძალი ხალხი იმსხვერპლა. პოლიტბიურომ თანაგრძნობა გამოუცხადა ავარიის მსხვერპლთა ნათესავებსა და ახლობლებს. დაღუპულთა ოჯახებს აღმოუჩინეს სათანადო სახელმწიფო დახმარება. ისინი, ვისაც უშუალოდ მიუძღვის ბრალი კატასტროფაში, — ხომალდების „პეტრე ვასოვისა" და „ადმირალ ნახიმოვის" კაპიტნები — დაპატიმრებული და სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემული. პარტიიდან გარიცხეს და სამუშაოდან მოხსნეს შავი ზღვის საზღვაო სანაოსნოს უფროსი ს. ა. ლუკიანჩენკო. თანამდებობიდან გათავისუფლეს და მკაცრი პარტიული სასჯელი დაადეს სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრის მოადგილეს ა. ვ. გოლდობენკოსა და კოლეგიის წევრს, საკავშირო გაერთიანება „ზღვაოსნრბის" თავმჯდომარეს ბ. ს. მინინგაშვილს, პარტიული პასუხისმგებლობა დაეკისრა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრის მოადგილეს ბ. ა. იუნიცინს. სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს კოლეგიას დაევალა მიეცა განახორციელოს ნაოსნობის უსაფრთხოების, საზღვაო ტრანსპორტის მუშაობაში დისციპლინისა და ორგანიზებულობის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებანი.

მოიწონა რა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვისა და კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის კიმ ირ სენის საუბრების შედეგები, პოლიტბიურომ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამართულ აზრთა გაზიარებას საბჭოთა კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობის ყველა სფეროში ურთიერთობის გაღრმავებისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლაში მათი ურთიერთმოქმედების გაფართოებისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ აზიაწყნარი ოკეანის რეგიონში ვითარების გაჯანსაღება ხელს შეიწყობს კორეის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას.

პოლიტბიურომ შეაჯამა საბჭოთა ხელმძღვანელობისა და დანის პრემიერ-მინისტრის პ. შლუტერის მოლაპარაკების შედეგები. ამასთან კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა კავშირ-დანიის ურთიერთობის განვითარების გამო და დადასტურდა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის გაღრმავოს პოლიტიკური დიალოგი დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან როგორც ევროპის პრობლემატიკაზე, ისე მსოფლიო მნიშვნელობის კარდინალურ საკითხებზეც, უწინარეს ყოვლისა განიარაღების საკითხებზე.

მოისმინეს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის ცნობა კანადაში, მექსიკასა და კუბაში მისი ვიზიტების შედეგების შესახებ, აგრეთვე ამხანაგ ბ. ნ. დემიჩევის ინფორმაცია იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ვიზიტის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე პარტიული და სახელმწიფო მშენებლობის და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან თანამშრომლობის საკითხები, გამოაკეთეს ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა ინიციატივების განხორციელების ზოგიერთი სხვა საკითხი.

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა

საერთაშორისო მუშათა კლასის წარმომადგენლებს

შეხვედრის დროს. საკადრ-საქინფორმის ტელეფოტო.

31 ოქტომბერს მ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში შეხვდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დელეგაციას, რომელსაც წარმომადგენლობდნენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე, სრულიად უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე შ. გაშპარი, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ი. ზაქარია, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარე — ეგვიპტის მშრომელთა პროფცენტრის გენერალური მდივანი რ. ვეიგა, ეთნოლოგიკის რევოლუციური პროფკავშირული მოძრაობის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ჰოფმანი, სრულიად ინდოეთის პროფკავშირთა საბჭოს გენერალური მდივანი ი. გუფთა, საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი ა. კრაზიუკი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ს. ა. ალაევი, გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე გ. ტიში.

გ. გაშპარმა მ. ს. გორბაჩოვს დასცა სექტემბერში ბერლინში გამართული პროფკავშირთა XI მსოფლიო კონგრესის წერილი. წერილი ეგზავნებათ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. რეიგანსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს.

შეხვედრის მონაწილეებმა მ. ს. გორბაჩოვს გაუზიარეს შთაბეჭდილებანი ბერლინის კონგრესის შესახებ, მიიჩნიეს იგი ახალ მოვლენად, პროფკავშირულ მოძრაობაში, მისი პროგრამა კი თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე უპირველესად სერიოზული მუშაობის საწყის პუნქტად. თავიანთი ქვეყნების გამოცდილებისა და საერთაშორისო პროფკავშირულ მოძრაობაში მონაწილეობის გამოცდილების გათვალისწინებით, მათ გამოთქვეს მოსაზრება, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრება საერთაშორისო მუშათა კლასს და, კერძოდ, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას, მშვიდობის შენარჩუნებისათვის, შეეწინააღმეგ ახალ ამოცანებსა და სიძნელეებს, რომლებსაც აწყდებიან პროფკავშირები ახლანდელ ეტაპზე, ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რამდენად დაუახლოვდა ახლა განიარაღებისა და განვითარების პრობლემები მშრომელთა უშუალო ინტერესებს დაცვას, სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის გეგმებს.

გამოთქვა საინტერესო იდეები მსოფლიო ასპარეზზე და ეროვნულ ფარგლებში პროფკავშირთა ავტორიტეტის, დამოუკიდებლობისა და როლის გაზრდის გზების შესახებ, თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში მათ შესაძლებლობათა შესახებ.

ყველამ ერთსულოვანი აზრი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა, განსაკუთრებით ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის მისეული პროგრამა, რომელიც ესოდენ შთამაგონებლად და კონკრეტულად გამოიხატა რეიკიავიკის შეხვედრაზე, კაცობრიობის გადარჩენისათვის ბრძოლის ახალ პერსპექტივებს სახავს და ახალ უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს მუშათა კლასსა და მის პროფკავშირებს.

ყველამ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის დინამიზმმა, რომელიც იცავს საკაცობრიო ღირებულებებს, უწინარეს ყოვლისა, მშვიდობას დედამიწაზე, და სოციალისტურ საზოგადოებაში ღრმა გარდაქმნამ მნიშვნელოვნად გაზარდა მსოფლიოს მუშათა კლასის, მთელი მშრომელი მასის ინტერესი სოციალისტური იდეებისადმი, სოციალიზმისადმი.

მიიღო რა წერილი, მ. ს. გორბაჩოვმა მიუღოცა ამხანაგებს კონგრესის წარმატება, აღნიშნა მისი საეტაპო ხასიათი, მხარი დაუჭირა აზრს, რომ იქ მიღებული დოკუმენტების რეალიზაცია მოითხოვს დაძაბულ მუშაობას ახლებურად, მომენტის მთელი თავისებურებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით.

წერილში გამოხატულია მუშათა კლასის ნება, რომელიც ასახავს ზოგადსაკაცობრიო ინტერესს. წერილის შინაარსი და ის, რომ მას იწონებენ აგრეთვე იმ პროფკავშირთა წარმომადგენლები, რომლებიც არ შედიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში, ადასტურებს: ახალი აზროვნება სულ უფრო ვრცელდება, მკვიდრდება მასების შეგნებაში.

მ. ს. გორბაჩოვმა დაახასიათა წყარობები, რომლებიც ასაზრდოებენ საბჭოთა საგარეო პოლიტიკას: სოციალისტური საზოგადოების არსი, კაცობრიობისათვის შექმნილი ბირთვული საფრთხის რეალობის გაგება, რწმენა იმისა, რომ მთელი თავისი წინააღმდეგობრიობისა და მრავალფეროვნების მიუხედავად თანამედროვე მსოფლიო ურთიერთდაკავშირებული მთლიანობაა, რომელსაც აქვს საერთო პრობლემები, ურთიერთმისაღებ გადაწყვეტათა საჭიროებას რომ უკარნახებენ. იმას, თუ რომელი სისტემა სჯობს, ბანჯარს ისტორია, მშვიდობიანი შეჯიბრების მიმდინარეობა.

ასეთია დიალექტიკა, რომელზეც აგებულია სკკპ XXVII ყრილობის საგარეო-პოლიტიკური კონცეფცია. იგი საშუალებას გვაძლევს ოპტიმისტურად ვუყურებდეთ მომავალს და ვაღდაყოფს, რომ სოციალიზმს სწამს თავისი ძალა და სიმართლე.

მ. ს. გორბაჩოვმა შეხვედრის მონაწილეებს გადაუშალა საბჭოთა საზოგადოებაში დაწყებულ იმ გარდაქმნათა ფართო პანორამა, რომლებიც ხორციელდება ადამიანის ფაქტორის გააქტიურების, დემოკრატიზაციის, ძლიერი სოციალური პოლიტიკის, სამეურნეო მექანიზმისა და ეკონომიკის მართვის სრულყოფის მეოხებით. ყოველივე ამაში უდიდესი როლი უნდა შეასრულონ შრომითმა კოლექტივებმა და პროფკავშირებმა. მან შეხვედრის მონაწილეებს გააცნო კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება იმ მიზნით, რომ გაიზარდოს საბჭოთა პროფკავშირების ავტორიტეტი და დამოუკიდებლობა, გაძლიერდეს მათი ფუნქციები მშრომელთა ინტერესების დაცვისათვის, მათი მებრძოლურობა სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი გარდაქმნის საკითხებში, სამეურნეო მუშაკებთან, ადმინისტრაციასთან, სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში. საბჭოთა პროფკავშირების საქმიანობის განახლებაც მოწმობს მთელი საზოგადოების ღრმა გარდაქმნებს, სოციალისტური დემოკრატიის შთამბეჭდავ გაფართოებას.

დიდია პროფკავშირების როლი და პასუხისმგებლობა იმაში, რომ უახლეს სამეცნიერო-ტექნიკურ საფუძველზე ეკონომიკის გადაყვანა, იმისაგან განსხვავებით, რაც დასავლეთში ხდება, მიმდინარეობდეს მუშა კაცის სასარგებლოდ, გამორიცხავდეს მისი ინტერესების საზიანო ნეგატიურ შედეგებს.

პროფკავშირების როლის გაძლიერებას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვს, განსაკუთრებით პროფკავშირებზე კონსერვატორთა ძალების არნახული შეტევის ვითარებაში.

დიდი ყურადღება დაეთმო საერთაშორისო თვალსაზრისით მუშათა და პროფკავშირული მოძრაობის მეცადინეობის გაერთიანების საკითხებს. მუშათა კლასის ორგანიზაციები, მშრომელები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედებენ, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. და ეს ბუნებრივია სოციალიზმის სამყაროსთვისაც კი. მაგრამ ყველა ისინი ერთი ფესვიდან არიან წარმოშობილნი, დაკავშირებული არიან ერთმანეთთან მუშათა კლასის არსითა და ისტორიული დანიშნულებით. მისი ერთიანობა ნაკარნახევია მშვიდობის ბედისათვის პასუხისმგებლობითაც და დიდი კაპიტალის იმ მისწრაფებით, რომ გაანადგუროს პროფკავშირული მოძრაობა. მომდინარეობს პროფკავშირული მოძრაობის დემოკრატიული ღირებულებების დაცვის ამოცანების დაახლოება. გამოვნახოთ მთელი მსოფლიოს პროფკავშირული მასისათვის გასაგები საერთო ენა იმ იდეათა საფუძველზე, რომლებიც ეხმიანება დროის მოთხოვნებს, — ეს არის სხვადასხვა პროფკავშირს შორის დიალოგის მოგვარებისა და პროფკავშირთა საერთაშორისო ძალის აღმავლობის გზა.

შეხვედრას ახასიათებდა ცხოველი, თვითკრიტიკული, უაღრესად ამხანაგური აზრთა გაზიარება, მიმდინარეობდა ურთიერთნდობისა და ოპტიმიზმის ატმოსფეროში.

შეხვედრაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი. (საკადრ).

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

1 ნოემბერს გაიმართა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. კრების მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის კაპიტალური მშენებლობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საქმეში პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანები „ქვეყნის სამშენებლო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის თაობაზე", „მშენებლობაში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შესაბამისად.

კრებაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრები, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, ხელმძღვანელი პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, ტრესტების მმართველები, მთელ რიგ საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, სახლთსაშენებელი კომბინატებისა და სამშენებლო სამმართველოების უფროსები, მეცნიერები, სპეციალისტები, მოწინავე მუშები, ბრიგადირები, სამშენებლო კომპლექსის პირველადი პარტორგანიზაციათა მდივნები.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, კ. ა. კოჩეტოვი, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ბ. ვ. ადლეიბა, გ. გ. გუმბარიძე, გ. ჰ. ემირიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, თ. ი. მოსაშვილი, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. დ. დმიტრიევი.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე გ. ზ. მირიანაშვილი, რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი დ. ვ. მანჯგალაძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ო. გ. ზუხბაია, რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის" თავმჯდომარე ი. ა. ხარატიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი ბ. ა. ზატუაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ა. ი. პავშენცევი, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 სახლთსაშენებელი კომბინატის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ი. ჭელიძე, სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს კანტორის მმართველი ზ. გ. გენძეხაძე, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ნ. გ. ვაშაძე, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანი რ. ი. მახარაძე.

აქტივის კრებაზე გამოვიდა ამხ. ა. დ. დმიტრიევი.

კრების შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

განხილული საკითხის გამო მიღებულია რეზოლუცია. (საქინფორმი).

პროფკავშირები მშვიდობისათვის ბრძოლაში

საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის წინაშე დასახულ ცენტრალურ ამოცანათაგან ერთ-ერთია ბირთვული ომის საფრთხის, გამალებული შეიარაღებისა და მისი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების წინააღმდეგ მოქმედების ერთიანობის მიღწევა. ეს ხაზგასმით აღიმნშა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ხელმძღვანელობის დელეგაციის პრესკონფერენციაზე, რომელიც 31 ოქტომბერს გამართა მოსკოვში.

საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტების წინაშე გამოსვლისას პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარემ შ. გაშპარმა თქვა: დელეგაცია მოსკოვში ჩამოვიდა, რათა მ. ს. გორბაჩოვს დაუდასტურა პროფკავშირთა XI მსოფლიო კონგრესის წერილი. ასეთივე წერილები უნდა გადაეცეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ხელმძღვანელობის სახელით შ. გაშპარმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დელეგაციისაგან კონგრესის წერილი პირველმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მიიღო.

მ. ს. გორბაჩოვთან საუბარში, რომელიც გულთბილ და ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა, თქვა მან, ჩვენ მივხვდით, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პროფკავშირულ მოძრაობას, მის როლს მშვიდობისა და მშრომელთა უფლებებისათვის ბრძოლაში.

პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ი. ზაქარია და დელეგაციის სხვა წევრები.

პასუხი გაეცა ჟურნალისტთა კითხვებს. (საკადრ).

ამ ნომერში

● პროფკავშირთა XI მსოფლიო კონგრესის წერილი მ. ს. გორბაჩოვს. (მე-2 გვ.)

● დიდი ოქტომბრის შესახვედრად. (მე-2 გვ.)

● ეკონომიკური განათლება: სიტყვისა და საქმის ერთიანობა. (მე-2 გვ.)

● გარდაქმნა დაჟოვნებას ვერ ჯდუობს. (მე-2 გვ.)

● მურმან ლეგანიძის ახალი ოიგინიდან. (მე-3 გვ.)

● საერთაშორისო ცხოვრების ამბები. (მე-4 გვ.)

● სპორტული ინფორმაცია. (მე-4 გვ.)

საზეიმო კრება

1 ნოემბერს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა მოსკოვის გარნიზონის ჯარების მომავალი 115-ე პატიმის მონაწილეთა საზეიმო კრება, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავს მიეძღვნა.

კრებაზე გამოვიდა მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. მ. არხიპოვი. ვ. ი. ლენინ

პროფკავშირთა XI მსოფლიო კონგრესის წერილი მ. ს. გორბაჩოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს

პროფკავშირთა XI მსოფლიო კონგრესი გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში 1986 წლის 16-22 სექტემბერს ჩვენი ისტორიის გადამწყვეტ და უაღრესად სახიფათო მომენტში. საკითხი ის არის, თუ როგორ განვითარდება მოვლენები მსოფლიოში — ან გაიმარჯვებს ადამიანის გონება და რეალიზმი მშრომელთა ინტერესებისათვის, ან მსოფლიო დაიწყებს დაქანებას ბირთვული კატასტროფისა და კაცობრიობის დაღუპვისაკენ. ვერ შევურიგდებით აგრეთვე ისეთ მდგომარეობას, როცა გამალებულ შეიარაღებას ხმარდება უდიდესი მატერიალური და ინტელექტუალური რესურსები. აღმაშფოთებელია, როცა სამხედრო მიზნებისათვის წელიწადში იხარჯება დაახლოებით ტრილიონი დოლარი, რაც აღემატება იმ ქვეყნების საერთო შემოსავალს, სადაც ცხოვრობს ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

კონგრესი დარწმუნებულია, რომ მსოფლიო ეკონომიკის შეწონასწორებულ და ყოველმხრივ განვითარებას დღეს ძირითადად აბრკოლებს გამალებული შეიარაღება, განსაკუთრებით გამალებული ბირთვული შეიარაღება, რომელიც უშუალო საფრთხეს უქმნის ჩვენი პლანეტის უშიშროებასა და თვით სიცოცხლეს დედამიწაზე. სამართლიანად ამტკიცებენ, რომ თუ კაცობრიობა ვერ შეაჩერებს გამალებულ შეიარაღებას, იგი მას მზასპობს.

სპეციალისტთა გამოკვლევები ცხადყოფს, რომ გამალებული შეიარაღების შეწყვეტა ბოლოს მოუღებს მსაობრივ უმუშევრობას. უნდა გავითვალისწინოთ ასეთი შესაძლებლობა უმუშევრობისა და არასრული დასაქმების შემზარავი ზრდის ფონზე, რომელთა გამოც გაჭირვებას განიცდის ბევრი ქვეყანა.

მსოფლიო პროფკავშირული გაერთიანება თანამიმდევრულად იღვწის, რათა მიღწეულ იქნეს საერთაშორისო შეთანხმებანი იმის შესახებ, რომ შევაჩეროთ და უკუვაგდოთ გამალებული შეიარაღება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სპეციალურ სესიაზე 1982 წელს წამოყენებული იყო კონკრეტული წინადადება — დადებულიყო შეთანხმება შეიარაღების ხარჯების 10 პროცენტით შემცირების შესახებ. ამ წინადადებას თაბეს დროზე რომ დათანხმებოდნენ, მნიშვნელოვან თანხებს მივიღებდით რენტაბელური კაპიტალდაბანდებებისა და იმისათვის, რომ უზრუნველგვეყო საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა იმ განვითარებადი ქვეყნებისა და მილიონობით ადამიანისათვის დახმარების გაწევის გზით, რომლებიც დღეს მოკლებული არიან შესაფერისი არსებობის სახსრებს.

პროფკავშირთა XI მსოფლიო კონგრესი აცხადებს, რომ ურყევად ეწინააღმდეგება გამალებული შეიარაღების ყოველგვარ შემდგომ ესკალაციას და მტკიცედ მოითხოვს, რომ კოსმოსი თავისუფალი იყოს ბირთვული იარაღისაგან, როგორც ამას მოითხოვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი მეტი წილი სახელმწიფოები. მსოფლიოში უშიშროების შენარჩუნებისათვის საჭირო არა „ვარსკვლავეთის ომების“ სტრატეგია, არამედ სამუშაო ადგილების შექმნის სტრატეგია, სიღატაკის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია და, როგორც ამას მოითხოვენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალები, ყველა ქვეყანასა და ხალხს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის საფუძველზე დამყარებული საყოველთაო საერთაშორისო უშიშროების სტრატეგია.

პროფკავშირთა XI მსოფლიო კონგრესი მხარს უჭერს ცალკეული ქვეყნების ან ქვეყნების ჯგუფების ყველა წინადადებას, რომლებსაც წვლილი შეაქვთ განიარაღების პროგრამაში. ამიტომ კონგრესი მიესალმება საბჭოთა კავშირის მიერ გამოცხადებულ ბირთვული იარაღის გამოცდების მორატორიუმს და მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ბირთვულ სახელმწიფოებს მიბაძონ ამ მაგალითს. 2000 წლისათვის ბირთვული იარაღის მოსპობის შესახებ საბჭოთა წინადადებანი შეესაბამება მშრომელთა და ხალხთა სურვილებს. კონგრესი მთლიანად უჭერს მხარს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებისთვის გამიზნულ ამ ინიციატივებს, აგრეთვე წინადადებებს, რომლებიც წამოაყენეს მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ჰარარეს VIII კონფერენციამ 1986 წლის სექტემბრის დამლევს, დელის ექვსეულის ქვეყნებმა თავიანთ „მექსიკის დეკლარაციაში“ და სხვადასხვა პოლიტიკური ძალებისა და მასობრივი ორგანიზაციების განიარაღებისათვის გამიზნულ სხვა ინიციატივებს.

ყველა კონტინენტის 296 მილიონი ორგანიზებული მშრომელის სახელით კონგრესს, რომელზეც წარმოდგენილია 147 ქვეყნის 432 პროფკავშირული ორგანიზაცია, მიიჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და მისმა ყველა წევრმა, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა, დაუყოვნებლივ უნდა განახორციელონ ღონისძიებანი გამალებული შეიარაღებისა და ყველა ბირთვული გამოცდის შეწყვეტის, ბირთვული და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის ლიკვიდაციის, განიარაღების ღონისძიებათა შედეგად გამოთავისუფლებული სახსრების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გადანაწილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებათა დადების მიზნით. ყველა ქვეყანაში უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა სამხედრო საწარმოები გადაიყვანონ მშვიდობიანი პროდუქციის გამოშვებაზე.

კონგრესი კიდევ ერთხელ გამოთქვამს რწმენას, რომ მშვიდობისა და განიარაღების სტრატეგია ახლა მთელი კაცობრიობის უკეთესი ცხოვრების უზრუნველყოფისათვის საერთაშორისო განვითარების სტრატეგიის გადამწყვეტი შემადგენელი ნაწილი გახდა.

პროფკავშირთა XI მსოფლიო კონგრესი მოგიწოდებთ ყურადღება მიაპყროთ ამ მშვიდ საერთაშორისო პრობლემებს და გაითვალისწინოთ მთელი მსოფლიოს მშრომელი ადამიანების იმედები და მისწრაფებები, რომლებმაც ცხადყვეს ყველა დონეზე, რომ იწინააღმდეგებიან გამალებულ შეიარაღებას.

ეკონომიკური განათლება: სიზუსტისა და საქმის ერთიანობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელმაც იმსჯელა მშრომელთა ეკონომიკური განათლების საბჭოების ამოცანებზე ეკონომიკური სწავლების სისტემის გარდაქმნის საქმეში „1986-1987 სასწავლო წელს მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ორგანიზაციის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, უწყებათაშორისო ეკონომიკური განათლების საბჭოების თავჯდომარენი, ეკონომიკური ინსტიტუტების დირექტორები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელები.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლსკი.

თათბირმა, რომელმაც საქმიან, პრინციპულ ვითარებაში, საბოლოო შეჯდეგებით დიდი დაინტერესების, პირუთვნელობის, ნაკლოვანებათა კრიტიკის სულისკვეთებით ჩაიარა, გააანალიზა რესპუბლიკაში მშრომელთა ეკონომიკური განათლების მთელი სისტემის, ახალი სასწავლო წლისათვის მისი მზადების საერთო მდგომარეობა, განსაზღვრა კონკრეტული ამოცანები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მომავალი სასწავლო წელი განსაკუთრებულია, წინა წლებისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ მიმდინარეობს მთელი ჩვენი საქმიანობის გარდაქმნის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პერიოდში. ეს კი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ეკონომიკური განათლების მთელ სისტემას, მის ხელმძღვანელებსა და მსმენელებს, მოითხოვს გარდაქმნას ახალი პირობების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის შემდგომ გაღრმავება-სრულყოფას, შრომითი კოლექტივების პრაქტიკასთან მის დაახლოებას.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო წელი უნდა გახდეს პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ახალ სისტემაზე — სკკპ XXVII ყრილობის სულისკვეთებისა და მოთხოვნების შესაბამის სისტემაზე გადასასვლელად აქტიური, ყოველმხრივი მზადების წელი, მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლის პერიოდში შრომითი კოლექტივებისადმი კონკრეტული დახმარების წელი. ეკონომიკური განათლების საბჭოების ლექტორების, პროპაგანდისტების ამოცანაა მიაღწიონ იმას, რომ ყოველ საბჭოთა ადამიანს ნათლად ესმოდეს მიმდინარე ცვლილებების სიახლე და თავისებურება, მკაფიოდ ჰქონდეს შეგნებული და ხედავდეს თავის ადგილს საერთო მწყობრში. სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს. მათი ერთიანობის პრინციპით საქმიანობა უნდა წარვმართოთ უწინარესად კონკრეტული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

თათბირმა მოითხოვა, რომ მთავარი ყურადღება დაეთმოს სწავლებისა და აღზრდის, შინ-დასახლებას ცხოვრებისა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, საწარმოებთან, ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ადგილობრივ ეკონომიკურ ორგანიზაციებთან, ადგილობრივ ეკონომიკურ ორგანიზაციებთან, ადგილობრივ ეკონომიკურ

ბენიკ სეირანიანი

ალარ დაბრუნდნენ წეროები...

ლოფელში დიდმა და პატარამ ყველამ იცოდა, როდის ჩამოფრინდებოდნენ მათ ველ-მინდვრებში წეროები და მერე როდის გაემგზავრებოდნენ აქედან...

ზუსტი დღე არავინ უწყოდა, წლის დრო იცოდნენ მხოლოდ... გაზაფხული — ბუნების გამოღვიძებისა და გაფურჩქვნის ყველაზე სანატრელი დრო, როცა ყანა და მინდორი, ამწვანებული ჯეჯილი და საძოვარი გაზაფხულის მზის სხივების ქვეშ ლიცლიცებდა, მიწა მაძღრისად სუნთქავდა, მსუბუქი ოხშივარი ასდიოდა, ნაირ-ნაირი ყვავილები სანუკვარი სურნელებით ავსებდნენ არემარეს, ცა კი უსასრულოდ ლურჯი, მაღალი და ღრმა, წმინდა და გამჭირვალე იყო, სწორედ ისეთი, როგორიც მთაგორიანი ჯავახეთის ზეცა არის ხოლმე.

ჰოდა, ამ სანეტარო დროის ერთ დღეს ციმბირის შორეთიდან მოდენილ სევდიან ყივილს გაიგონებდა თუ არა ყანაში მხართეძოზე და მზისკენ სახემიქცეული მწყემსი ბიჭი, მაშინვე წამოჯდებოდა, ყურადაცქვეტილი მიაყურადებდა შორეთს და კვლავ რომ გაიგონებდა ამ ნაცნობ ყივილს, რომელიც კიდევ და კიდევ მეორდებოდა და ახლოვდებოდა, ერთბაშად წამოხტებოდა, სახრეს თავზეკით დაატრიალებდა და გაზაფხულის კამკამა ჰაერს შესძახოდა მისი ზარივით წკრიალა ძახილი:

— წეროები მოვიდნენ! ჰეი, წეროები!...

ეს ძახილი პირიდან პირზე გადადიოდა, მინდვრიდან მინდორში მიფრინავდა და დიდი და პატარა ყველა იგებდა წეროების მოსვლას.

სოფელს, რა თქმა უნდა, ძველიდან გადმოსული ბევრი ადათ-წესი ჰქონდა. წეროების მოფრენა ერთი იმთგანი იყო, და ეს დღე სიხარულით აღსავსე დღესასწაულივით ეღერდა; ყველა ხარობდა, მაგრამ გამორჩეულად გახარებულნი იყვნენ ბავშვები. ისინი წეროებს ეგებებოდნენ, როგორც შორეთიდან მოსულ ძვირფას სტუმრებს... და სიხარულისაგან დამტკბარნი ერთმანეთს თვალებით ანიშნებდნენ.

— გაიგონე? წეროები მოვიდნენ!..

— გავიგონე! მაგრამ, აფსუს, დიდხანს არ დარჩებიან...

დიახ, ასე იყო, წეროები ერთი დღის, უფრო სწორად, ერთი ღამის სტუმრები იყვნენ: მოდიოდნენ ნაშუადღევს მზის სხივებზე აელვარებული სადაფისფერი ფრთების ტყლაშუნით, ეშვებოდნენ სოფლის შორიახლო ჭაობების პირას მწვანე კორდზე, ისვენებდნენ, ღამეს ათევდნენ, მეორე დილას კი, ერთმანეთის მიყოლებით თავიანთი მეთაურის მანიშნებელ ყივილზე, ფრთებს გაშლიდნენ და მიფრინავდნენ. საით? არავინ იცოდა. ხოლო სოფელი ერთხელ კიდევ ხედავდა შემოდგომაზე, როდესაც ცის ღრმა სივრცეში სამკუთხედად დაწყობილნი, მორზეს რიტმზე დანაწევრებული ყიგილით ჩაივლიდნენ და უჩინარდებოდნენ, ეტყობა, უკან დაბრუნებისას დასასვენებლად სხვა ადგილი ჰქონდათ დათქმული.

ბუნების ხელით ჩამოქნილი ფრთოსნები უსაზღვროდ უყვარდათ ბუნების მოყვარულ ყმაწვილებს. მათ წაკითხული ჰქონდათ, რომ ყამირი მიწების ათვისებისა და ჭაობების ამოშრობის გამო წეროების რიცხვი თანდათანობით კლებულობდა, რომ ისინი უკვე კარგა ხანია ჩაწერილი იყვნენ „წითელ წიგნში", ამიტომ ყველაფერს ღონობდნენ, რომ არავინ მიჰკარებოდა, არავის ენნო, არავის დაერღვია ფრინველების სიმშვიდე და უსაფრთხოება.

როდესაც სოფლის ყანებსა და ჭაობებში წეროები საკვებს დაეძებდნენ, ყმაწვილები შორიდან ადევნებდნენ ცნობისმოყვარე თვალებს ყვავილ-ყვავილად გაცალკევებულ გრძელკისერა და კანჭებმაღალი უწყინარი ფრთოსნების დიდებით მორჭმულ სიარულს, მამლისა და დედლის საზიარო ალერსსა და მოფერებას, იმასაც — მოპოვებულ ლუკმას ნისკარტ-ნისკარტ როგორ სთავაზობდნენ ერთმანეთს, მერე ნეტარებით აღსავსენი როგორ შლიდნენ ნაცრისფერ ფრთებს, თითქოს (ეკვანენ ერთი მეორის გარშემო.

შუადამისას, ადამიანები მიაშურებდნენ თუ არა თავიანთ ოდასახლებს და ყანები ცარიელდებოდა, წეროების გუნდი იკრიბებოდა ღამის გასათევ ადგილზე, მეთაური გამოეყოფოდა სხვებს, მახლობელ ბორცვზე ავიდოდა და იქიდან მთელი ღამე ფხიზელი გუშაგივით დარაჯობდა თავისი გუნდის მშვიდ ძილს. საკმარისი იყო მისი სულ მცირე მინიშნება, გუნდი მაშინვე მოსწყდებოდა მიწას, აფრინდებოდა და იმ არემარეს გაეცლებოდა.

ყმაწვილებმა ესეც იცოდნენ და არასოდეს ახლოს არ ეკარებოდნენ, შორიდან უთვალთვალებდნენ.

მთვარიანი ღამე უფრო სასიამოვნოს ხდიდა წეროების ღამის თევაზე თვალთვალს — ისინი ერთმანეთზე მიხუტებული თეთრი ბატკნები გეგონებოდათ; გინდაც მთვარე ჩასულიყო და უკუნ ღამეს დაესადგურა, წეროების სადაფისფერი ფრთების ფოსფორულ ელვარებას წყვდიადიც ვერას აკლებდა.

სოფლის მობინადრენი დიდად გახარებულნი იყვნენ და ამაყობდნენ კიდეც, მთელ მთაგორიან ქვეყანაში წეროებს იმათ ყანებში და ველ-მინდვრებში რომ ამოერჩიათ დასასვენებელი ადგილი და ცდილობდნენ ღირსეულად მოეხადათ სტუმარმოყვარეობის ვალი.

ძველიდან, ეხსოვარი დროიდან მოდიოდა წეროებისა და ადამიანების ასეთი პატიოსანი მშვიდობიანი ახლოლობა და თანაარსებობა და ეგონათ, არაფერს არ შეეძლო მისი ჩახშობა.

მაგრამ... მოულოდნელმა შემოხვევამ თავდაყირა დააყენა ყველაფერი...

იმ გაზაფხულზე ჯეჯილმა ის იყო ტანი აიყარა, აქა-იქ თაგვები გამოჩნდნენ, შავი ნიადაგის ქვეშიდან გზის პირზე ამოვიდნენ ნაცრისფერი მღრღნელები. ისინი წვრილი ლურჯი თვალების ცეცებით და ულვაშების ცმაცუნით ჯერ არემარეს ზვერავდნენ, მერე კი ბილიკები გაჰყავდათ თავიანთი ხვრელებისა და სოროებისაკენ.

სოფლის ხალხმა გამოცდილებით იცოდა, თუ დროზე არ მიიღებდნენ ზომებს, თაგვები გამრავლდებოდნენ, მოუწეველი მარცვლის ღეროებს ძირში გადაჭრიდნენ და... რაღა მოსავალი? რაღა ბარაქა?...

განგაშის ხმამ რაიონის ცენტრს მიაღწია, იქიდან მაშინვე ჩამოვიდნენ ადამიანები, მოწამლეს თაგვების სოროები, ხვრელები და წავიდნენ.

გრძელ გზაზე ქარიშხალი გამოეცალოთ თუ სხვა განსაცდელში მოხვედრილიყვნენ, ერთ ნისლიან საღამოს წეროები მოფრინდნენ, ცოტა ხნით შეისვენეს და შემდეგ ყანებს მიაშურეს საკვების საშოვნელად.

ქარი არ ქროდა, მაგრამ ამწვანებული ველი თითქოს ირხეოდა იდუმალი ძალისაგან...

მოწამლული მღრღნელები სოროებიდან ამოსულიყვნენ, მწვანედ აბიბინებულ ჯეჯილში გადარეულები დარბოდნენ, ხტოდნენ, კოტრიალობდნენ და... სწორედ ისინი გახდნენ დაქანცული და დამშეული წეროების ლუკმა.

რა იცოდნენ, საბრალო ფრთოსნებმა, მათაც ისეთივე აღსასრული ელოდათ, როგორც თაგვებს, რომ იმ საღამოს მშვიდობიანი ღამისთევის ნაცვლად უსაშველო ტკივილებისაგან მინდორ-მინდორ ფართატი იყო მათი ხვედრი.

აფრენა-გაქცევის ინსტინქტი მიწიდან ჰგლეჯდა, ცისკენ ეზიდებოდა, მაგრამ ღონეშეზიდული ქვებივით ცვიოდნენ მიწაზე, ლამაზ ფრთებსა და ფეხებს იმტვრევდნენ, სულის ამოხდის უკანასკნელ წუთებშიც ბორგავდნენ, ფართხალებდნენ, ცაში აფრენას ცდილობდნენ ისევ, მაგრამ ამაოდ...

და ხმაურობდა წყვდიადი; ფრთოსნების ფრთების უნიათო ფართქალი, სასოწარკვეთილი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამოყივლება და აღსასრულის საბედისწერო კლაკვნა არღვევდა უკუნი ღამის მყუდროებას...

მეორე დღეს ადამიანების თვალწინ შემზარავი სანახაობა გადაიშალა, აქა-იქ, სოფლის სავარგულებზე, ყანებში გაჭრილ გზაბილიკებზე, ქარაფების თავზე და ფერდობებზე ეყარნენ ქოლგასავით გაშლილი დიდრონი ფრთებით საბრალო წეროები.

ყველა დაღონდა, გული ატკინა, ყველაზე მეტად კი დაამგლოვიარა ბუნებისმოყვარული ყმაწვილები.

ბედნიერი იყო, ვისაც არ უნახავს ის შემზარავი სანახაობა, მე იმ ბედნიერთ არ ვეკუთვნოდი.

აი, უცვე მიდის წლები, მაგრამ არ შემძლია დავიწყება, ან ნუთუ ოდესმე დამავიწყდება?!

როდესაც ჩვენი ავტომანქანა ყანებშია რბილ გზაზე მისრიალებდა, უეცრად გვერდზე გადაუხვია — მთელ სიგანეზე ფრთებგაშლილი ეგდო იმ ღამის ერთი უდანაშაულო მსხვერპლი, ერთი დიდი წერო. იგი თითქო ვერცხლისგან ჩამოსხმული გორელიეფივით განსხვავებული ამოზრდილიყო მიწაზე კისერმოგრეხილი და ღია ნისკარტით ისე, იტყოდით, ენაზე შეჰყივნია უკანასკნელი წეროსეული ყივილიო...

მძღოლმა მანქანა გაარიდა წეროს უსულო სხეულს, ძრავა გამორთო და ჩვენ გადმოვედით. ერთხანს მდუმარედ ვუყურებდით წეროს, მერე კრინტის დაუძრავად განვაგრძეთ ჩვენი გზა, მაგრამ ორივე წინა დღის უბედურებაზე ვფიქრობდით...

წინ გაჭიმულ გზას ჩაფიქრებული გასცქეროდა მძღოლი, მერე მდუმარე ფიქრებს თითქო ხმაღალა განაგრძობსო, შემომხედა და მკითხა:

— იქნებ ჯობდა, ცოტა კიდევ მოეცადათ, ჰა?

კითხვა თაგვების სოროების მოწამვლას ეხებოდა.

— იქნებ... — გაურკვევლად შეეხმიანე მე.

ამბობენ, იმ უბედური შემთხვევის დღიდან მთაგორიანი სოფლის ცაში არავის აღარ გაუგონია წეროების სევდიანი ყივილიო.

სომხურიდან თარგმნა

არჩილ დავითიანმა.



მალე პოეზიის მოყვარულნი მიიღებენ რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის მურმან ლებანიძის ახალ წიგნს — „კრებული-86", რომელსაც გამოსცემს გამომცემლობა „მერანი".

კრებული აერთიანებს უკანასკნელ წლებში შექმნილ ნაწარმოებებს.

გთავაზობთ ლექსების ციკლს პოეტის ახალი კრებულიდან.

ახალი წიგნიდან

▼▼

ნისლში მოჩანს წარსული და მყობადის გზაშარა...
ქართულ-კახეთი,
გურია,
სამეგრელო,
აჭარა..
ნუვინ პგონებს, ყოველი ვითომც დაკარგულია...
ჯავაზეთი,
მესხეთი,
იმერეთი,
გურია...
ვარ და ვრჩები უტეხი, დავალ, ვცოცხლობ ხვალეთი...
ფშავი,
რაჭა-ლეჩხუმი,
ხევსურეთი,
ხევსეთი...
ათასწლეულში მიიკვლევს წყვდიადს ჩემი გზაშარა..:
ქართულ-კახეთი,
გურია,
სამეგრელო,
აჭარა...

რეანიმაცია

1

გამჭრეს! შემკერეს!
რაღაც ჩარჩათ გულმკერდის ღრუში,
მიმაგორებენ
გრძელ ტალანში, გვიან, ურიკით...
„კასტილიანი"
ილრინება ვიღაცა პრუსი:
„ვინა გდიაო,
რომ ხელახლა ჭრიან ურიგოდ!"

2

მჩხვლიტეს ექთნებმა,
წაყვანილი ღრმად ვარ კაიფში,
ვრძნობ ველარაფერს,
შესაძლოა უკვე გამფატრეს,
მეზრდება ფრთები,
უფსკრულებში სადღაც დავეშვი,
დასტაქრებისას
ველარ ვხედავ ქათქათა სკაფანდრებს.

3

ოთხი კედელი —
იდენტური, ოთხივე შუშის!
ჩანს, ცოცხალი ვარ,
ძაფს, გაწყვეტილს, როგორღაც ვაბამ:
ჰგავს ეს პალატა
აკვარიუმს, — შენს მურმანს უჭირს,
აკვარიუმის
ფსკერზე ვწევარ და სულსა ვლაფავ.

4

„რეანიმაცია!"
სიტყვა ესე პალატის, კრულის,
სახელწოდება
თუ არსო, შეცდომით თვლიან, —
სინამდვილეში:
მობრუნებას კვლავ ხორცთან სულის, —
მაშასადამე,
გაცოცხლებას კაცისას ჰქვია..

5

„მზეო,
ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორას!
ცხოვრებას
კაცი მოუკლავს,
საწყალი
აგერ გორავს!"

▼▼

კაცი სხვის რითმებს წვრთნის, —
სახავს უწყინარ ლაღობად,
გალაკტიონი თვლის
ჯიბეში ხელის ჩაყოფად.

წერს: „რა ხდებაო ეს?!
წუხს: „ჯოგის ხელში ცვდება —
სადაც ჩავხედე ლექსს,
სულ ჩემი რითმა მხვდება!"

წერს: „რითმაც უთაქია,
რიტმებსაც ჩემსას ავლენს, —
იცოცხლე, უთარგმნია
ბლოკი მშვენივრად პავლეს!"

„მართალი გახლავს ზოგი,
ვინც ქართულ თარგმანს აქებს,
კი, ნაღდად იგებს ბლოკი,
ოღონდ — პავლია აგებს!"

ქურდობს დღისით და მზისით,
ცარცვაში ტოლი არ პყავს,
ქარგავს რითმებით სხვისით,
სხვისი რიტმებით ჩარხავს..."

და იქვე დასძენს: „სხვაა,
და არც არავის არ პგავს,
გალაკტიონი — ზღვაა,
ამით არაფერს კარგავს..."
. . .
კაცი სხვის რითმებს წვრთნის, —
სახავს უწყინარ ლაღობად, —
გალაკტიონი თვლის
ჯიბეში ხელის ჩაყოფად.

▼▼

„არ იყავიო
ვაგას დღეზე ამ ზაფხულს ჩარგალს!" —
ვინ, ვინ მიბედავს?! —
ხელფასს იღებს ეს კაცი მაღალს

მხოლოდ იმაში,
რომ ესწრება თავშეყრებს ჩვენსას,
გვადევნებს თვალყურს,
მწერლუკანა მწერლობას მწყემსავს...

მე წამოვწითლდი
და ხელახლა გავთვითრდი რისხვით:
„რაო, რა ბრძანეთ?!"
ჩავეკითხე არაკაცს ზიზღით, —

ჩემთვის ყოველდღე
ვაგას დღეა! — ვუთხარი მკაცრად, —
და ილიასიც, სხვათა შორის!" —
შებრუნდა, გაშრა...

რად პირს არ გახსნნი,
დედამიწავ, თან არ ჩამიტან,
ათას თახსირთან
რომ პურს მაჭმევ ერთი ჯამიდან!

ავტობუსში

სომეხი
ქართველს უამბობდა, პიტალო სახით
უსმენდა ფრანგი,
ამრეზილი ნვრილ-ნვრილი ხალხით...

„რა ვიხარეო, —
თქვა სომეხმა, — რაფრად დანაყა,
რა წხუბს ვუყურე,
ერთმა კაცმა ოთხი გალახა,

რომელსაც მოსდო,
სათითაოდ ადგილზე დასვა,
მიაწყ-მოაწყო
და თავის გზით გახნია კაცმა..."

„ვენაცვალეო
შიგ ჯიგარში! — (სომეხი იდგა)
სად უყურეო,
თუ კაცი ხარ?" — ქართველმა ჰკითხა.

ფრანგს გაეცინა:
„რა ხალხია, ეს რაებს ბლანდავს!
არ კითხულობსო
დალოცვილი მტყუანს და მართალს!"

„ამას უყურე! —
თქვა სომეხმა, — რა ბრძანეთ აქო!
ვაჟკაცობისა
რა გესმისო, შე მართლა ფრანგო!"

და თქვა ქართველმაც
იდეური თანხმობით დოსტთან:
„ერთი — ყოველთვის მართალია
ათთან და ოცთან!"

„ცოტანი ხართო!
ვერ გასულხართ, ვერც გახვალთ გაღმა! —
რიცხვობრიობის
გაწუხებთო საკითხი!" —
ფრანგმა.

▼▼

პროფესორ გიორგი ნაცვლიშვილს და მის მოწაფეებს

გილიოტინით
ორთავ ხელი, მაჯაში წაჭრილი,
ბასტურმასავით
ჩაწყობილი „ემალის" ქვაბში,
შემოაქვთ ცალკე,
მოაგორეს ცალკე ყმაწვილი —
ცხრამეტი წლისა,
უნაგრული;
სრულიად ბავშვი.

საჭირო არის
წაკერება მაჯებზე მტევნის,
განწრახულია
გადარჩენა როგორმე ბალღის,
მაშასადამე,
გამოჩხრეკა ყოველი ნერვის,
ზუსტად მორგება
შესატყვისი
ყოველი ძარღვის.

და პა, ქართველი
დასტაქრების გამოდის გუნდი,
გადასაჭრელად
უბედური ყმაწვილის ბედის —
ხუთი მამაცი,
ხუთი გმირი, ვაჟკაცი ხუთი
ხელებს იბანს და
ნირშეცვლილი
ყმაწვილთან შედის...

არის თუ არა
ეს, საერთოდ, მასალა ლექსის?! —
ვფიქრობ ჩემთვის და
აბუზული ტალანში ვდგავარ;
ხმა გამოისმის
პალატიდან ვმინვის და კვნესის,
მეც გასაჭრელი
ამ ხალხს, ვიცი,
ხვალ თუ ზეგ ვყავარ.

წუთი წუთს მისდევს,
ხუთნი ბეწვის გაღიან ხიდზე
და თორმეტ საათს
დასტაქრების ომი გრძელდება,
ოპერაცია,
დაწყებული სალამოს შვიდზე,
დამთავრებულა —
დილის შვიდზე
კიდეც თენდება...

სისრულეშია
მოყვანილი მაჯებზე მტევნის
კაერება და
შებრუნება ბედ-იღბლის ჩარხის,
დიდი სიფრთხილით
გამოჩხრეკა ყოველი ნერვის,
ზუსტად მორგება
შესატყვისი
ყოველი ძარღვის.

ხოლო დასტაქრებს, —
თუ გარდახდა საბრალო ყმაწვილს,
არანაკლები
მათ გარდახდათ საკუთარ წილად, —
ვხედავ: დამსხდარან
და, შემდგომად უმძიმეს ღვაწლის,
ქანცგაწყვეტილთ და
ტანთგაუხდელთ
სკამებზე სძინავთ...

სძინავთ ვალმოხდილთ,
სძინავთ მაშვრალთ, თენდება გარეთ, —
ჩემი სალამი
და მადლობაც მათ ჩემდა წილად! —
ვარ, ვცოცხლობ, დავალ
გარდუხდელი მათდამი ვალით, —
კი, არაერთხელ
მეც ვგდებულვარ
სიკვდილის პირად...

კურთხეულ იყოს,
განწირულის ვინც ცოცხლობს შველით,
თავს დახდგომია
ვინც ჭირშიმყოფს ბნელში სანათით!
იდიდოს ღვაწლი,
განეული დასტაქრის ხელით,
დასტაქრის დანით
და დასტაქრის
თეთრი ხალათით!

▼▼

ერმილე ჭრელ ყვავილს თიბავს,
მთისრაჯას კარგი გვაქვს ბუნება,
ჩვენს გორაკს გულდაგული ჰკიბავს,
მე მიყვარს
ბერმთიბლის ყურება.

ამბობენ — ყვავილებს სტკივათ,
უბრალო ბალახებს — ნაკლებად!
ყვავილი — იქცევა თავად,
რას ვიზამთ —
ხარ-ძროხის საკვებად!

ქორთიდან ღრუბელი იძვრის,
დროდადრო ჩაახველებს გასაგებად...
დაკვრიფე ყვავილი მინდვრის
სოფლიდან
ქალაქში წასაღებად.

ყვავილი ყვავილთან დაწყვილდა
ბადახშის საყურეებად...
ერმილე მეკითხება: „რად გინდა?"
ვპასუხობ:
„ზამთარში საყურებლად!"

პოეტი ოცნებით თვრება,
წერას და ტკბილ ზამთარს ეპირება,
ერმილე ყველაფერს ხვდება,
სახეზე
ღიმილი ეფინება...

გლეხკაცი ჭრელ ყვავილს თიბავს,
მთისრაჯას კარგი გვაქვს ბუნება,
ჩვენს გორაკს, ჭრელ გორაკს ჰკიბავს,
მე მიყვარს —
ხამშობლის ყურება!

იუმორესკა

დრო დაუდგა ჩვენს ხუთას
მჯღაბნელს, ჩადგნენ გუთანში,
ყოველდღე იბეჭდება
უნიჭობა ხუთასი...

ზოგი იჯდა ტყემალზე,
ახლა ჯდება თუთაზე —
ყოველდღე იბეჭდება
უნიჭობა ხუთასი...

წერენ — ფილოქსერაზე,
წერენ — აბლაბუდაზე,
ყოველდღე იბეჭდება
უნიჭობა ხუთასი...

სვეტიცხოველს დავიფიცებ,
ხახმატსა და გუდანში, —
ერთი ვერცხლი არ სჭყივის
მაგდენ ხურდა-მურდაში...

არსად არ გადუხვიო,
ეგრე განახვენ სუდარში —
იდექ მარადიულის
და უკვდავის გუთანში!

▼▼

ვახუშტი კოტეტიშვილი
ხალხურ ლექსს, სახარებას,
თუშურ ჩითს,
ფშავურ ფარდაგს,
ჭრელ წინდებს
ნაყვარება...

არა პურსა და ღვინოში,
სადაც ზის ხონჭრის დარად, —
კავთისხევს მჯდარა გრილოში
ჩვენი ვახუშტი
ფუნარად;
მჯდარა კოტეტიშვილებში,
თვისტომის ჯარში, სოფლად,
უცბად, აივნის ჩრდილებში,
გაკიდულს
საჩრდილობლად,
უზრუნველობით ქართულით,
ხუთ-ექვსგან ლურსმანდაკრულს,
უხეშად გაბმულს მავთულით,
ჭრელ ფარდაგს ხედავს,
ზღაპრულს...

ვახუშტი კოტეტიშვილი
ხალხურ ლექსს, სახარებას
თუშურ ჩითს,
ფშავურ ფარდაგს,
ჭრელ წინდებს
ნაყვარება...

თმა-წვერი გასთეთრებია
წუთში ვახუშტის წყრომითი,
თვალები — გასდიდებია
ჩვენს ძმას
ფარდაგის ნდომით;
უთქვამს: „ვინ ნახა მხატვრული
მაგ საოცრების, რა ვქნა,
მიჯღან-მოჯღანავ მავთულით,
ანუ ზედ —
ლურსმნის დაკვრა!"
ხალხი შიშისგან გამშრალა —
„რასა ვხედავო ამას!"
უბრძანებია: „სხვას არა,
მისმეთო —
ძალო თამარს!"

და „დამნაშავე მთავარი", —
ჩვენი ვახუშტის ძალო, —
მობრძანებულა თამარი,
უთქვამს:
„ჩემია ჯვალო!
გავკიდებ, — ეფრიალება
სადაც მნებავს და როგორც!
მაგრამ, თუ გეპრიანება,
შენ გაამხილე
ოღონც,
თავს შემოგვლოს ფარდაგიც,
ვაზიც, ჩაკრული ჭიგოს,
ხახლ-კარიც, ფრინველ-ხვასტაგიც
პირწმინდად
შენი იყოს!"

ვახუშტი კოტეტიშვილი
ხალხურ ლექსს, სახარებას,
თუშურ ჩითს,
ფშავურ ფარდაგს,
ჭრელ წინდებს
ნაყვარება...

შვილისთვის უთქვამს: „ჯვალოა,
თუ მთლად ეღირსი სხვა რამ,
ახტი, ჩამოხსენ, — ძალუა
გადიფიქრებდეს
სანამ!"
ამხტარა ბიჭი — ფარდაგი
ჩამოუხსნია ცქაფად,
ძალუა თამარს განდაგან
აურგოლია სწრაფად;
„ფუქაშო!" — ბეჭზე აყუდებს
ჭრელ ფარდაგს, ახირებულს,
სულში და გულში ახუტებს
მაზლისწულს
დაპირებულს...

„ავიხირეო, ძალუავ,
სხვაც ბევრი, ამის გარდა!" —
მთლად მიბნედილა ვახუშტი,
ჩაჰხუტებია
ფარდაგს,
კაცი — გიჟს დამგვანებია,
შლეგს —
„სული ვიცხონეო!.."

ფარდაგსაც გაპხარებია:
„პატრონი
ვიშოვეო!"

▼▼

ყაბა-სამოხი ქალს არ აჩენდა, —
ხორციელებას მისას ჩქმალავდა;
კაცების ჯოგი მას არც ამჩნევდა,
სხვა ქალებისკენ
ბილიკს ჰკვალავდა.

წვიმდა და ზღვაზე დუღდა ბურუსი,
ზედ არ უცქერდნენ ბეჩავს კაცები,
და მთელი კვირა ჰქუხდა ხურულში
თოთბრის ჯაზი და
ძგერდა „ტანცები".

მაგრამ ხვალისდღე სხვაგვარად სჯიდა:
მზემ დაიძახა ერთ დილას „ჭიტა";
ზღვისპირ გაიძრო მან თვისი ჯვალო
და საკაცეთმა
თვალები სჭყიტა...

ოპ, თითქოს თივას ავარდა ალი, —
ის იყო მკერავი, ის იყო ნორჩი, —
ფანტასტიკური ის იყო ქალი
და სალოცავი
ზედ ეხხა ხორცი...

ხოლო მან ვინც „ტუს" ამ დილით მოპყვა,
ვინც მაგ ხხეულის იცოდა ფასი,
მოხვია მკლავი, შეახო ლოყა
და ქალს გულდაგულ
შეუძღვა ზღვაში....

და შეპყვნენ ნყვილად მიქცევას ზღვისას,
მზით გაჯერებულ ზღვას მიპყვნენ ცურვით..
და კაცთა ჯოგი გასცქერდა სხვისას
ბედნიერებას
ჭმუნვით და მდურვით.

▼▼

დაუწერია
ექვსი ლექსი პარასკევ დილას,
შაბათ სალამოს —
თავად ბრძანა, — მეორე ექვსი...
ბლოკი, ბერნსი და
პოლ ვალერი უკითხავს კვირას,
ამას უტყუვრად
სხვა თოთხმეტი მეტყველებს ლექსი.

გამოცანისა
მე მერგება როგორც ჭამნაგირს,
ჩავჩერებივარ
უშნოდ ნაძარცვს გაოცებული:
ბლოკი და ბერნსი
მაგ ბრიყვსა და მართლა ჩაჩნაგირს
ერთ ეგზემპლარად
„ჭგონებია" გამოცემული!

მაგრამ ეგ კიდევ
არაფერი! — ქე მაინც ბლოკი!
ქე მაინც ბერნსი! —
მართლა ხალხი აურჩევია!
ოღონდ — უძარცვავს
პოეტების ნაძრახნ ჯოგიც —
უხვად სიბრიყვე-
სიშეჩავეც გადუწერია...

ხოლო კრიტიკა, —
საყვარელი, მტრედებრ ღელენა,
ან — გასუსული,
სავარძლისას როცა გრძნობს ძალებს, —
შეცბუნებული
გარეკვლის წნელის ხუხულას,
საყდარიაო,
ხუხულაზე რაკიღა ბრძანეს...

რა ქნას კრიტიკამ?!
ნუვინ იტყვის — კრიტიკა სტყუა!
ვინ გაასწორებს
(კალმის წვერით!) კუზიან სოფელს?!
რა ქნას კრიტიკამ?!
გონივრულად თავისთვის ბზუა,
როგორც იტყვიან,
დაბალს ეძებს დროდადრო ღობეს!

▼▼

დავით გაჩეჩილაძის, გიორგი შატბერაშვილის, ნიკა აგიაშვილის ხსოვნას

განზე გადავდგამ სკამს,
სათქვენოდ ვიხვეშ ჭიქას
და სულს გიხსენებთ სამს —
დავითს, გოგის და ნიკას...

ფრთხილად ხელს ვახებ სასშურს,
გიწვევთ და ფიქრში გხატავთ,
შავეთს, წყალგაღმა გასულთ,
სამთავეს ცხედავთ ცხადად:

დავითს, ჩვენს უფროს ძმას,
ოსტატს ეშმაკურ ღიმის,
ტუჩსა და თითებს გწვავს,
ვხედავ, ნამწვავი „პრიმის"...

ხეს ცხოვრებისას შენსას
ათასი ჰქონდა როკი...
მანდაც ლურჯს გასცქერ ზეცას,
შატბერაშვილო გოგი...

ოპ, ნიკალაი, ნიკავ,
ჩვენს ხელნაწერებს ჩხრიკავ,
მეტი რომ არ ვთქვა, — ჩემთვის
შენ კაი კაცი იყავ...

ხსენებისათვის ქველის
ერთად ამდენი კაცის,
არჩამოთვლისთვის წრფელის
თქვენი საქვეყნო ღვაწლის,

არ გამირისხდეთ უმცროსს,
მე ბოდიშს გისდით, სამნო,
პატიოსნების ბურჯნო,
ჩემო უფროსო ძმანო!...

განზე გადავდგამ სკამს,
სამჯერ შევივსებ ჭიქას
და სულს გიხსენებთ სამს —
დავითს, გოგის და ნიკას.

▼▼

რა შემიძლია რწმენაზე, სჯულზე
გითხრა და ხელი დავიდო გულზე?!

ოთხმოციანი ჩამოდგა წლები,
ამბობენ, შრება წვნიანი ძვლები,

უახლოვდება პოეტი სიკვდილს
და სიკვდილის წინ ის ბოდიშს იხდის:

მე გავიარე ჭრელი, ხაზარი,
ამაოების გრძელი ბაზარი...

იყო სიამეც შენებით ქვეყნის,
იყო სიავეც ბრძოლის და შვლის!

სიმწარე მარცხის და სიტკბო ჯობნის
სიგლახე კაცის, სიმუხთლე სოფლის!

კი, მოლოდინში უკეთეს დროთა,
იყო ქმედებაც, აზრის სიცხოველეც...
მე — გაგიკვთე ძალიან ცოტა!
მაპატიე, რომ ბევრი ვიცხოვრე!

უცხოეთში

ფაქტები • მოვლენები

საბჭოთა ინიციატივების მხარდაჭერა

ავსტრია

ვენა. ავსტრიაში მშვიდობისათვის მებრძოლებმა უკვე შეაგროვეს 25 ათასზე მეტი ხელმოწერა მიმართვაზე, რომელიც მოითხოვს ბირთვული გამოცდების დაუყოვნებლივ შეწყვეტას. ეს მონაცემები მოიყვანეს აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ავსტრიის ომისსაწინააღმდეგო მოძრაობის საკოორდინაციო კომიტეტის წარმომადგენლებმა. დოკუმენტის ხელმომწერთა შორის არიან ქვეყნის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) 20-მდე დეპუტატი, 30 ქალაქის ბურგომისტრები, თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი.

ამერიკის ადმინისტრაციაა ცდილობს სხვადასხვა ყალბი საბაბით თავი აარიდოს ბირთვული გამოცდების შეწყვეტას, განაცხადეს პრესკონფერენციის მონაწილეებმა. სინამდვილეში კი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურს შეუერთდეს საბჭოთა კავშირის მიერ ცალმხრივი წესით დაწესებული ბირთვული აფეთქებების მორატორიუმს, ის არის, რომ ვაშინგტონი გააფრთხილებთ ცდილობს თავისი „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის რეალიზაციას.

სიერა ლეონე

ფრიტაუნი. სიერა ლეონეს მთავრობა მიესალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგიულ ხაზს, რომლის მიზანია საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნა, განაცხადა აქ რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯოზეფ საიდუ მომმამ.

სიერალეონელები, თქვა პრეზიდენტმა, უურადღებით ადევნებდნენ თვალს საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრის მიმდინარეობას, რომელიც უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა გახდა, როგორც ორი დიდი სახელმწიფოს ურთიერთობის ფარგლებში, ისე პლანეტაზე მშვიდობის განმტკიცების თვალსაზრისითაც. სინანულს იწვევს, აღნიშნა მან, რომ მოლაპარაკებას არ მოჰყვა საერთაშორისო დაძაბულობის არსებითი შენელება. მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არის. ჩვენი საერთო მოვალეობაა კიდევ უფრო მტკიცედ ვესწრაფვოდეთ საყოველთაო მშვიდობის მიღწევასა და ომის თავიდან აცილებას.

ინდოეთი

დელი. საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ განამტკიცოს მშვიდობა, შეამციროს ბირთვული შეიარაღება, მის სრულ განადგურებამდე და ამით მოსპოს ბირთვული ომის საშიშროება, განაცხადა ცხობილმა ინდოელმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, ჯავაჰარლალ ნერუს უნივერსიტეტის პროფესორმა კ. ს. დინგრამ. მოსკოვმა დაიწესა ყოველგვარი ბირთვული აფეთქების მორატორიუმი და უკვე ერთ წელზე მეტია იცავს მას, იჩენს შეიარაღების შემცირების დიდ გაბედულ ინიციატივებს. მაგრამ ვაშინგტონს არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს სსრ კავშირის ამ წინადადებათა მისაღებად.

პორტუგალია

ლისაბონი. რეიკიავიკის უმაღლესი დონის შეხვედრამ კიდევ ერთხელ ცხადყო საბჭოთა კავშირის გულწრფელი განზრახვა იხსნას კაცობრიობა ბირთვული განადგურებისგან, წერს პორტუგალიელ კომუნისტთა გაზეთი „ავანტე“. ამავე დროს, აღნიშნავს გაზეთი, ისლანდიის დედაქალაქში მოლაპარაკებამ დაადასტურა, რომ რეგანის ადმინისტრაციას არ სურს უარი თქვას „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის რეალიზაციაზე, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნად სიცოცხლეს და პლანეტის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების აბუჩად აგდებაა.

ტანზანია

დარ-ეს-სალამი. მშვიდობისმოყვარე ძალებს ვალია გაზარდონ ბრძოლა თერმობირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის, გამალებული შეიარაღებისა და კოსმოსში მისი გავრცელების წინააღმდეგ, განაცხადა აქ აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებში სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის წარმომადგენლობის შეთაურმა ს. მაბიზელამ. ბირთვული ომი, თქვა მან, ნიშნავს ცივილიზაციის დაღუპვას. ამიტომ მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი დიდად აფასებს და გულწრფელად მხარს უჭერს უდიდეს მეცადინეობას, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ეწევიან ბირთვული უგუნურობის დაუშვებლობისათვის.

ჩადი

აგრესიული მოწოდება

პარიზი. ჩადში სამხედრო ჩარევის გაფართოებისათვის მოუწოდა საფრანგეთის ნაციონალის რეფორმის მეთაურმა ჰისენ ჰაბრემ. „ანტენ-2“ ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში მან ილაპარაკა ეროვნული ერთიანობის გარდამავალი მთავრობის წინააღმდეგ საბჭოური მოქმედების გაშლის გეგმის შესახებ. ამ გეგმის მიზანია „საბოლოოდ გაათავისუფლოს“ ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი, რომელსაც კონტროლს უწევს ეროვნული ერთიანობის გარდამავალი მთავრობა. როგორც საფრანგეთის ტელევიზია აღნიშნავს, დღეისათვის ნაციონალის ჯარები თავს იყრიან ჩრდილოეთ და სამხრეთ ჩადს შორის საზღვარკაცი ხაზზე, რომელსაც ჰაბრეს მთავრობა ინარჩუნებს საფრანგეთის კონტინგენტისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დახმარების წყალობით.

ფოტოფაქტი

ბანდიტური აქციების კოორდინაციის მისიით

ვაშინგტონი. პონდურასში ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ბ. არმაკოსტი, რომელიც ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობს.

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკური უწყება არ მალავს, რომ ეს ვოიაჟი უშუალოდ არის დაკავშირებული 100 მილიონი დოლარის განაწილებასთან, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სომოსელ ბანდიტებს გამოუყო სამხედრო-ფინანსური დახმარების სახით.

სომოსელთათვის ამერიკის სამხედრო დახმარების განაწილების პოლიტიკური კოორდინატორის როლი ეკისრება არმაკოსტს, ხოლო პრაქტიკული ხელმძღვანელობა — ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს. ეს ფუნქციები, აგრეთვე ნიკარაგუის წინააღმდეგ საჯაშუშო უწყების ძირგამომბარელი საქმიანობის საერთო მიმართულება განსაზღვრულია ეროვნული უშიშროების საკითხების საიდუმლო დირექტივაში, რომელიც ახლახან დაამტკიცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა. ამ დოკუმენტის თანახმად, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო უხელმძღვანელებს დაქირავებულთა ბანდებისათვის დახმარების პროგრამის განხორციელებას, მისცემს მათ მითითებებს ტაქტიკური და პოლიტიკური საკითხების მთელ სპექტრზე. ოპერაციების დაგეგმვით დაწყებული და სპეციალური ამოცანების შესასრულებლად აგენტების დაქირავებით დამთავრებული.

ლენგლის დაეკისრა აგრეთვე ნიკარაგუის ტერიტორიაზე მოკალათებული არმაზადებისათვის იარაღის საიდუმლო მიწოდება.

ჩემი შენ გითხარიო...

ფაქტის კომენტარი

ცნობა იმის შესახებ, რომ ოფიციალურმა ლონდონმა ურთიერთობა გაწყვიტა სირიასთან, მსოფლიოში ერთნაირად არ აღუქვამთ. თელ-ავივში, რა თქმა უნდა, ხარობდნენ: თავისი ნაბიჯით დიდმა ბრიტანეთმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ინგლისის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში კვლავ-ინდებურად განისაზღვრება ძველი კოლონიალისტური ნორმებით, და უაიტჰოლი სიმპათიით ეკიდება ისრაელს, რომელიც განგრძობს მიტაცებული არაბული, მათ შორის სირიის მიწა-წყლის ოკუპაციას.

სიმბოლურია, რომ ინგლისის მთავრობის მორიგი ანტიარაბული ღონისძიება თითქოს დაუკავშირდა ახლო აღმოსავლეთში მისი სხვა აქციის იუბილეს. 29 ოქტომბერს შესრულდა ეგვიპტის წინააღმდეგ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ისრაელის სამმაგი აგრესიის 30 წელი. ის ავანტიურა სამარცხვინოდ ჩაიფუშა, მაგრამ ეგვიპტელი ხალხის მიერ ინტერვენტებისათვის მიცემულმა გაკვეთილმა ნაყოფი ვერ გამოიღო. არაბეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მტრები ისევ მტრებად დარჩნენ, რასაც კიდევ ერთხელ მოწმობს ლონდონის დღევანდელი კურსი.

ახლა, ხმაურიანი პროპაგანდისტულ-დიპლომატიური კამპანიის ობიექტად არჩეულია სირია — ქვეყანა, რომელიც ყველაზე მტკიცედ და თანამიმდევრულად იცავს ახლო აღმოსავლეთში რეგიონის პრობლემების სამართლიანი გადაჭრის პრინციპებს, არ ეგება არავის ანკესზე, არ ემორჩილება იმათ უხეშ ზემოქმედებას, ვისაც სურს კრიზისი „მოაწესრიგოს“ აგრესიის მსხვერპლის — პალესტინის არაბი ხალხის ხარჯზე.

სირიის არაბთა რესპუბლიკის წინააღმდეგ მძლავრი შეტევა გაჩაღდა. დიპლომატიურ დემარშს თან ახლავს ცდები ამ აქციაში ჩაბაან სხვა ქვეყნები. მიმართავენ სამხედრო ხასიათის აშკარა პროვოკაციებსაც. კვიპროსში ბრიტანეთის სამხედრო ბაზებში სასწრაფოდ გადასხეს მედესანტეთა სპეციალური ქვეგანაყოფები, მთლიანი საბრძოლო კომპლექტით აღჭურვილი თვითმფრინავები დაყენებულია ასაფრენ ზოლებზე. ისევე როგორც ოცდაათი წლის წინათ, ინგლისელები ახლაც მოქმედებენ თელ-ავივთან შეთანხმებით: გოლანის მაღლობზე ისრაელის ჯარებმა დისლოკაციის ადგილი შეიცვალეს, ამასთან ისრაელის პრემიერ-მინისტრმა შარონმა ამკარად მოუწოდა სამხედრო შეტევას მიმართონ, „თუ დიპლომატიური ხასიათის სადამსჯელო სანქციები სათანადო ნაყოფს არ გამოიღებენ“.

ამრიგად, აგრესორმა და დამპყრობმა გადაწყვიტა „დასაჯოს“ ხალხი, რომელიც მისი აგრესიისაგან დაზარალდა. მასთან ერთად სირიას „სჯის“ ოფიციალური ლონდონიც. უფრო მეტიც, ამისათვის საბაბი ინგლისელებს თავაზიანად შესთავაზეს ისრაელის სპეცსამსახურებმა. ამერიკაში გამომავალი გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორიც“ კი, რომელიც ამერიკის ადმინისტრაციის შემდეგ ჩაება სირიის შევიწროების კამპანიაში, იძულებული იყო აღენიშნა, რომ ინგლისის ჰიტროუს აეროპორტში ტერორისტული აქციის განხორციელების გეგმაში დამასკოს მონაწილეობის „დამდასტურებელი“ ცნობები სწორედ ისრაელმა მოიპოვა, რომელიც „უკვე დიდი ხანია ცდილობს ბრალდება შეაკოწიწოს სირიის წინააღმდეგ“.

● ჩრდილოეთ ირლანდია

„დემოკრატია“ მოქმედებს

ასე გამოიყურება დღეს „დემოკრატია“ ჩრდილოეთ ირლანდიაში. დიდი ბრიტანეთის კონსერვატორთა მთავრობა კვლავ აძლიერებს სამხედრო ყოფნას ოლსტერში. როგორც „ბი-ბი-სის“ ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახური იუწყება, კონსერვატიულმა კაბინეტმა ექვსი თვის წინათ მიიღო გადაწყვეტილება პროვინციაში დამატებით გაგზავნოს 550 სამხედრო მოსამსახურე. ამრიგად, 10 200 ჯარისკაცი და ოფიცერი ათასობით პოლიციელთან ერთად შეადგენენ ბრიტანეთის მმართველი წრეების ძირითად რეპრესიულ იარაღს ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილის გამოსვლების ჩახშობად, რომელიც თანაბარი მოქალაქეობრივი უფლებებისა და თავისუფლებისათვის იბრძვის.

საკდესის ფოტო.

ბოლოდნელია თუ არა კურსის შეცვლა?

საერთაშორისო შენიშვნები

ისრაელის მთავრობაში მომხდარი გადაადგილების გამო

მეშვიდენარე წლის ოქტომბერში ისრაელის მთავრობაში მომხდარ გადაადგილებას როგორც უცხოეთის, ასევე ჩვენი ქვეყნის საინფორმაციო საშუალებებმა უკვე ბევრი სტატია თუ კომენტარი მიუძღვნეს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სპეციალისტებსა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობას დიდი ხანია აწუხებს კითხვა: როდის მოვა ამ ქვეყნის სათავეში ისეთი მთავრობა, რომელიც აღიარებს ახლო აღმოსავლეთში არსებულ რეალობებს და ხელს შეუწყობს მდგომარეობის სამართლიან მოწესრიგებას?

ისრაელის სახელმწიფოს შექმნის დღიდან ქვეყანას მუდამ კოალიციური მთავრობა მართავდა, მაგრამ 1984 წლის არჩევნების შემდეგ, ისრაელის ისტორიაში პირველად, შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როდესაც წამყვანი პარტიების ლიდერები შეთანხმდნენ მანდატის ნახევარი ვადის გასვლის შემდეგ გაეცვალათ პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტები. 1986 წლის ოქტომბრამდე პრემიერ-მინისტრის პოსტი შრომის პარტიის ლიდერს შიმონ პერესს ეკავა, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრისა — მემარჯვენე პარტიების ბლოკის „ლიკუდის“ ლიდერს იცხაკ შამირს. ამიერიდან, 1988 წელს დანიშნულ არჩევნებამდე, პრემიერ-მინისტრი შამირი იქნება, საგარეო საქმეთა მინისტრი კი პერესი.

სპეციალისტების უმრავლესობის აზრით, ზოგიერთი „ნიუანსების“ გამოკლებით ისრაელის მთავრობაში მომხდარი გადაადგილება ძირითადად არ შეცვლის ქვეყნის არც საშინაო, ამერიკის ეკონომიკასთან მჭიდროდ დაკავშირებულ კურსს, არც ექსპანსიონისტურ საგარეო პოლიტიკას, მაგრამ საინტერესოა, რომ დასავლეთ მიმომხილველები და პოლიტიკური წრეები ყურადღებას სწორედ ზემოთ აღნიშნულ „ნიუანსებზე“ ამახვილებენ, რასაც თავისი მიზანი აქვს. საქმე ის არის, რომ დასავლეთში სურთ ისეთი სურათი შექმნან, თითქოს ისრაელის მთავრობა გამუდმებით ეძებდეს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების გზებს და ამიტომ იქმნება წინააღმდეგობები არა მარტო ისრაელის წამყვან პოლიტიკურ პარტიებს, არამედ ისრაელსა და ამერიკას შორისაც. ქვეყნის საშინაო-ეკონომიკური პრობლემების გარდა ისრაელის ყველა მთავრობის ყურადღების ცენტრშია, ერთი მხრივ, ამერიკასთან, ხოლო მეორე მხრივ, არაბულ სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხები, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება უკვე ხანგრძლივი დროის განმავლობაში გადაუჭრელ პალესტინის პრობლემას. როცა შიმონ პერესის საქმიანობაზე ლაპარაკობენ, დასავლეთი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ შრომის პარტიის 62 წლის ლიდერმა პრემიერ-მინისტრის პოსტი ყოფნის განმავლობაში კომპრომისული გადაწყვეტილებების ოსტატის რეპუტაცია მოიპოვა, რადგან ასე თუ ისე წარმატებით შეძლო შეერიგებინა მთავრობაში მყოფი სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელთა ინტერესები. გარდა ამისა, მან თითქოს ბოლო მოუღო ისრაელის სამხედრო ყოფნას ლიბანში, გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ქვეყნის ეკონომიკის მოწესრიგების საქმეში და წინ წასწია ურთიერთობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პალესტინელებთან, რითაც თითქოს მოაახლოვა პალესტინის პრობლემის გადაჭრის პერსპექტივა. ყოველივე ამას პერესის წარმატებად მიიჩნევენ და აღნიშნავენ, რომ მის პოლიტიკას მიმდინარე წლის ზაფხულში ისრაელის მოსახლეობის 52 პროცენტი იწონებდა.

თუ ყურადღებით გავაანალიზებთ დასავლეთის მიმომხილველთა ამგვარ მტკიცებებს, ნათელი გახდება, რომ მათ შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ დაეკითხნენთ, და აი რატომ. დავიწყოთ ისრაელის წინაშე მდგარი ეკონომიკური პრობლემებით. თვით ინგლისის ფინანსური წრეების გაზეთის „ფაინენშლ ტაიმსის“ მიმომხილველის დევიდ ლენონის აზრით, პერესის ეკონომიკური ღონისძიებანი — სახელმწიფო ბიუჯეტის შემცირება, ფასებისა და ხელფასის გაყინვა, ათასობით სახელმწიფო მოსამსახურის დათხოვნა და ისრაელის ფულის ერთეულის — შეკელის დევალვაცია, — ისრაელისთვის ახალი არ არის. ამ პროგრამის ერთადერთი ახალი ელემენტი იყო ინფლაციის მაჩვენებელთან ხელფასის დონის ავტომატურ დაკავშირებაზე უარის თქმა და საგანგებო ზომების მიღება ამ გადაწყვეტილების განხორციელების მიზნით. გარკვეულ სიბალდ შეიძლება ჩაითვალოს ფასების დონის გაყინვაც, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ პერესს, მთელი თავისი პირადი ავტორიტეტისა და მთავრობის მეთაურის გავლენის გამოყენება დასჭირდა, იმისთვის, რომ როგორც ლენონი აღნიშნავს, ეს პროგრამა პარლამენტში „გაეთრია“. მიუხედავად აღნიშნული ღონისძიებებისა, ისრაელის ეკონომიკის ერთგვარი გაჯანსაღება შეუძლებელი იქნებოდა ამერიკის დახმარების გარეშე, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ გამოაცხადა, რომ ისრაელს 1,5 მილიარდი დოლარი გამოუყო დასახმარებლად. მიმდინარე წლის სექტემბერში შეერთებულ შტატებში პერესის ვიზიტის დროს, სახელმწიფო მდივანმა ჯ. შულცმა ყურნალისტებთან გამართულ პრეს-კონფერენციაზე პირდაპირ აღნიშნა: „ეკონომიკის სფეროში ისრაელი და ამერიკა განვლილ პერიოდში მჭიდროდ თანამშრომლობდნენ, რათა შეესუსტებინათ ინფლაციის პრობლემის სიმწვავე ისრაელში და გამოეცოცხლებინათ კერძო სექტორში. ეს იმის მაგალითია, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ამერიკის დახმარება საჭირო შედეგების მისაღებად“. 1984 წელს ამერიკამ შეცვალა ისრაელის დახმარების კომპლექსური პროგრამა და ბიზნესის სესხის მიცემადან, პირდაპირ ფინანსურ დახმარებაზე გადავიდა. 1985 წელს ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამერიკასა და ისრაელს შორის თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე, რის საფუძველზეც ორივე ქვეყანამ თავისუფალი ვაჭრობის უფლება მიიღო ერთმანეთის ბაზრებზე. აღნიშნული ეკონომიკური დახმარება ისრაელთან ამერიკის ეგრეთ წოდებული „განსაკუთრებული ურთიერთობების“ სფეროში შედის, რომელიც მას შემდეგ ჩამოყალიბდა, რაც 1983 წელს პრეზიდენტმა რ. რეიგანმა და ისრაელის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა იცხაკ შამირმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას სტრატეგიული თანამშრომლობის თაობაზე. ამ შეთანხმების საფუძველზე ამერიკა და ისრაელი აწყობენ ერთობლივ სამხედრო მანევრებს, ამერიკა ისრაელს აწვდის უახლეს სამხედრო ტექნიკას და ტექნოლოგიას, მასთან ერთად ქმნის ახალ სახეობათა იარაღს (მაგალითად, ავიაგამანადგურებელ („ლავის“), აცხადებს, რომ ისრაელთან ერთად შექმნის რაკეტებს, წყალქვეშა ნავებს სადაზვერვო უპილოტო რაკეტთან სეპარატულ, კაპიტულანტურ მოლაპარაკებებში. „რიდიკულებში“ კი ვაშინგტონში იმ არაბულ სახელმწიფოებს გულისხმობენ, რომლებიც უარს ამბობენ დაემორჩილონ ამერიკა-ისრაელის დიქტატს და რეგიონში მათ ბატონობას.

სამწუხაროდ, ბოლო ხანს გახშირდა ეგვიპტის, მაროკოს, იორდანიისა და სხვა არაბული სახელმწიფოების ისეთი კონტაქტები ვაშინგტონთან და ტელ-ავივთან, რომლებიც ხელს უწყობენ ცდებს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ძირითადი საკითხის — პალესტინის საკითხის გადაჭრას, ჩამოაცილონ პალესტინელ ხალხს ნამდვილი, კანონიერი წარმომადგენლები და კაპიტულანტურ კურსზე დაიყოლიონ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობაში არსებული შემრიგებლური ელემენტები. პალესტინელთა გარკვეულ წრეებს და კონსერვატიულ არაბულ სახელმწიფოებს აფაფრით არ სურთ გაიგონ, რომ ამერიკა არასოდეს არ უფალატებს ისრაელის ინტერესებს და ამიტომ არასოდეს დათანხმდება პალესტინელ არაბთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, თუმცა ამის შესახებ არაერთხელ განაცხადეს როგორც ისრაელის, ასევე ამერიკის უმაღლესი რანგის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა. მით უმეტეს შეუძლებელია ეს მომავალი ორი წლის განმავლობაში, რადგან, ჯერ ერთი, ისრაელის პრემიერ-მინისტრის პოსტზე ან პერიოდში იქნება ი. შამირი, რომელიც ცნობილია როგორც პალესტინელების წინააღმდეგ მიმართული სისხლიანი ტერორის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და აქტიური მონაწილე, რომელმაც 15 ოქტომბრის ასოციიტედ პრესის კორესპონდენტს განუცხადა: „პალესტინის პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა ეკმა-დევიდის შეთანხმებით გათვალისწინებული, მათთვის შეზღუდული ავტონომიის მინიუბაა-ოო“. და მეორე, ამერიკაში ახლოვდება პრეზიდენტის არჩევნები, ისტორია კი გვიჩვენებს, რომ გავლენიანი ებრაული ფინანსური წრეებისა და ებრაული ამომრჩეველების მხარდაჭერის სურვილი ყოველთვის აიძულებდა წამყვანი ამერიკელ პოლიტიკურ მოღვაწეებს კიდევ უფრო გაემკაცრებინათ პოლიტიკა არაბების მიმართ. გამონაკლისი არც მომავალი არჩევნები იქნება.

ვუბლიცისტიკა სცენაზე

საათ-ნახევრის განმავლობაში დარბაზი სულგანაბული უსმენდა მსახიობ თინათინ ელბაქიძეს.

იმ საღამოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო [illegible] „[illegible]“ პუბლიცისტიკა [illegible] მსმენელს ნან ალეკსიძე, [illegible] ბენ [illegible] ბენ [illegible] ბენ